23.06.2009: აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №32

2009 წლის 23 ივნისი

ქ.თბილისი

დღის წესრიგი:
1. აკადემიური ხარისხების, უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ცნობისა და 5-ქულიანი სისტემის კრედიტებად გადაანგარიშების წესის განხილვა;
2. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის დებულების დამტკიცება;
3. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების დამტკიცება;
4. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულტეტის მილევადი პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდის გაუქმება;
5. განათლების ფაკულტეტის დეკანის წარდგინება მილევადი საბაკალავრო პროგრამებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის გაუქმებასთან დაკავშირებით;
6. განათლების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დამტკიცება: 1) მულტიდისციპლინარული სწავლება და სამეცნიერო კვლევა ბუნებისმეტყველებაში, 2) ფსიქოკონსულტირების როლისა და ეფექტის კვლევა ცხოვრების ხარისხის, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის ამაღლებაში;
7. ინფორმაციის მიღება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დეკანის არჩევის შესახებ;
8. ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების განხილვა;
9. სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების განხილვა;
10. მემორანდუმის გაფორმების განხილვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის;
11. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების ატესტაციის ჩატარების წესი;
12. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საკითხის განხილვა;
13. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 24 ოქტომბრის №24 სხდომაზე დამტკიცებული ,,აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესში" ცვლილებების შეტანის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე - საბჭოს თავმჯდომარე
2. შუქია აფრიდონიძე - სხდომის მდივანი
3. მზია ბაქრაძე
4. ნათელა იმედაძე
5. გიორგი ნახუცრიშვილი
6. აივენგო შათირიშვილი
7. ჯუანშერ ჩქარეული
8. ქეთევან გურჩიანი - ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2009 წლის 23 ივნისის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო „აკადემიური ხარისხების, უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების ცნობისა და 5-ქულიანი სისტემის კრედიტებად გადაანგარიშების წესი" წარმოდგენილი სახით;
2. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის დებულება წარმოდგენილი სახით ;
3. ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება;
4. გაუქმდეს ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა ფაკულეტეტის მილევადი პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდები: გეოგრაფია-ბიოლოგიის, ბიოლოგია-ეკოლოგიის, ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობებზე.
5. გაუქმდეს განათლების ფაკულტეტის მილევადი საბაკალავრო პროგრამების საკვალიფიკაციო გამოცდები;
6. დამტკიცდეს სადოქტორო პროგრამები განათლების ფაკულტეტზე შემდეგი სახით: „ბუნებისმეტყველების მულტიდისციპლინარული სწავლება" და „ფსიქოკონსულტირების მნიშვნელობა და ადამიანის ცხოვრების ხარისხი". ფაკულტეტმა გაითვალისწინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის რეკომენდაციები და პროგრამის ამოქმედების წინაპირობად განისაზღვროს ხარვეზების გასწორება;
7. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ფაკულტეტის დეკანის, ბატონი გიგა ზედანიას არჩევის შესახებ;
8. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
9. წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს სპორტის მეცნიერებათა ფაკულტეტის

დებულება დასამტკიცებლად;
10. გაფორმდეს მემორანდუმი საკონსტიტუციო სასამართლოსა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის;
11. დამტკიცდეს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების ატესტაციის ჩატარების წესი;
12. დამტკიცდეს წესი "სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" და მისი ამოქმედების წინაპირობად განისაზღვროს საკანონმდებლო ცვლილება;
13. დამტკიცდეს ცვლილებები ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 24 ოქტომბრის №24 სხდომაზე დამტკიცებული ,,აკადემიური დავალიანების დაფარვისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესში"
.

სხდომის თავმჯდომარე: გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი: შუქია აფრიდონიძე